საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის ოქმი N3

ქ. თბილისი **29--ნოემბერი 2013 წ.**

შესყიდვის საგანი: ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ N53-ში მდებარე შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის (27620,0 მ2 მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N03.01.22.013 - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის **(N1011; 31.10.2013)** საშუალებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:
სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:
- გოგი ფაცაცია — მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის თავმჯდომარე

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:
-მერაბ მენაბდე — მინისტრის მოადგილე
-კობა სელიმაშვილი — საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
- მურად აბლოთია — დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
-ზაზა იმედაშვილი — მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
- კახაბერ პეტრიაშვილი — იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
-კახაბერ ჩხარტიშვილი — ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:
- გია ნაჭყებია — ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი
- ამირან გოგიძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი
- დავით ლოლაძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე
- მაიკო მიქაია — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

დღის წესრიგი:
1. ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ N53-ში მდებარე შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის (27620,0 მ2 მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N03.01.22.013 - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ელექტრონული „კონკურსის“ **(N1011; 31.10.2013)** შედეგების განხილვა.
2. კონკურსში **(N1011; 31.10.2013)** მონაწილე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ მოისმინა:
სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრმა ამირან გოგიძემ სატენდერო (საკონკურსო) კომისიას გააცნო ინფორმაცია ზემოაღნიშნულ შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული კონკურსის შედეგების შესახებ, რომლის თანახმად ელექტრონულ კონკურსში **(N1011; 31.10.2013)** თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა და მონაწილეობდა 7 (შვიდი) კონკურსანტი:

1. **შპს „Live Design“;**
2. **შპს „სენსონი “;**
3. **საპროექტო სტუდია „არტკუბი“;**
4. **შპს „ლაინ ჯორჯია”;**
5. **შპს. „გეომეფი“;**
6. **შპს. „დიზაინკომპლექსი“;**
7. **შპს. „ხურო“;**

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინდადება განსახილველად გადაეცა სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს, კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფციის საკონკურსო განცხადებაში გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის დასადგენად.

კონკურსანტების მიერ წარმოდგენლი საკონკურსო წინადადებების ღირებულებება შეადგენს:

1. შპს ,,Live Design – 125000.0(ას ოცდახუთი ათასი) ლარი;
2. შპს ,,სენსონი "- 140000.0(ას ორმოცი ათასი) ლარი;
3. საპროექტო სტუდია „არტკუბი" – 118 000.0(ას თვრამეტი ათასი)ლარი;
4. შპს ,,ლაინ ჯორჯია"- 85 000.0(ოთხმოცდახუთი ათასი)ლარი;
5. შპს. „გეომეფი"- 117 777.0(ას ჩვიდმეტი ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტი)ლარი;
6. შპს. „დიზაინკომპლექსი"- 89 500.0(ოთხმოცდაცხრა ათას ხუთასი)ლარი;
7. შპს. „ხურო"-135 000.0 (ას ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი;

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ განიხილა:

სატენდერო (საკონკურსო) კომისის წევრებმა განიხილეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, რის შემდეგაც, კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ არქიტექტურული დაგეგმარების კონცეფციაზე მოხსენება გააკეთა სამინისტოს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა გია ნაჭყებიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო შვიდმა ორგანიზაციამ და მათ მიერ წარმოდგენილი კონცეფციების შეფასება ასეთია:

1. **შპს ,,Live Design":**

წინადადების ფასი -- **125 000.0**(ასოცდახუთი ათასი) ლარი;
კონცეფცია ითვალისწინებს ორი ტიპის ოცდახუთი 12 სართულიანი სახლის მშენებლობას, ბინების საერთო რაოდენობა -- **1 490**, მათ შორის: ერთოთახიანი- 386(26%), ოროთახიანი -- 805, (54 %) სამოთახიანი -- 299(20%).

წარმოდგენილია ქ.ქუთაისის მერიის მიერ გაცემული ცნობა ქ.ქუთაისში, შერვაშიძის ქუჩაზე ფუნქციური და ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონის კოეფიციენტებზე.

კონცეფციას თან ერთვის საცხოვრებელი სახლების ტიპიური სართულების გეგმები, რომლებიც დამუშავებულია ჩვენს მიერ საკონკურსო დავალებაში მოთხოვნილ პარამეტრებთან შესაბამისობაში.

2. **შპს ,,სენსონი ":**

წინადადების ფასი -- **140 000.0**(ას ორმოციათასი) ლარი.
კონცეფცია ითვალისწინებს ცხრა 14 სართულიანი სახლის მშენებლობას, ბინების რაოდენობა არ არის მითითებული. არ არის წარმოდგენილი ცნობა ფუნქციურ და ტერიტორიულ-სტრუქტურულ კოეფიციენტებზე, საესკიზო პროექტში გამოყენებულია სავარაუდო კოეფიციენტები. კონცეფციას თან ერთვის საცხოვრებელი სახლების ტიპიური სართულების გეგმების ორი ვარიანტი,რომელთაგანაც ერთი საერთოდ არ შეესაბამება ჩვენს მიერ მიცემულ საკონკურსო დავალებას, ხოლო მეორე ვარიანტის თანახმად,რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ 2 და 3 ოთახიანი ბინების განთავსებას, ბინების სავარაუდო საერთო რაოდენობაა **702** ბინა.

3. **საპროექტო სტუდია ,, არტკუბი" :**

წინადადების ფასი **-- 118 000.0** (ას თვრამეტიათასი)ლარი.
კონცეფცია ითვალისწინებს რვა 12 სართულიანი და ათი 9 სართულიანი კორპუსის მშენებლობას, ბინების საერთო რაოდენობა შეადგენს **1264** ,მათ შორის:ერთოთახიანი - 528(42)%,ოროთახიანი- 528(42%),სამოთახიანი -208(16%). არ არის წარმოდგენილი ცნობა ფუნქციურ და ტერიტორიულ-სტრუქტურულ კოეფიციენტებზე, საესკიზო პროექტში გამოყენებულია სავარაუდო კოეფიციენტები.
კონცეფციას თან ერთვის საცხოვრებელი სახლების ტიპიური სართულების გეგმები, რომლებიც დამუშავებულია ჩვენს მიერ საკონკურსო დავალებაში მოთხოვნილ პარამეტრებთან შესაბამისობაში.

4.შპს ,,ლაინ ჯორჯია"

წინადადების ფასი - **85000.0**(ოთხმოცდახუთი ათასი)ლარი.
კონცეფცია ითვალისწინებს შვიდი 14 სართულიანი კორპუსის მშენებლობას,ბინების საერთო რაოდენობა **1960**, მათ შორის ყველა ერთოთახიანი, ფართით 30.2-32.4 $მ^2$.

არ არის წარმოდგენილი ცნობა ფუნქციურ და ტერიტორიულ-სტრუქტურულ კოეფიციენტებზე, საესკიზო პროექტში გამოყენებულია სავარაუდო კოეფიციენტები. კონცეფციას თან ერთვის საცხოვრებელი სახლების ტიპიური სართულების გეგმა,რომელიც არ არის შესაბამისობაში. ჩვენს მიერ საკონკურსო დავალებაში მოთხოვნილ პარამეტრებთან.

5. **შპს „გეომეფი“**

წინადადების ფასი - **117777.0**(ასჩვიდმეტი ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტი)ლარი. კონცეფცია ითვალისწინებს სამი 12 სართულიანი,რვა 10 სართულიანი და შვიდი 6 სართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას,ბინების საერთო რაოდენობა - **930**, მათ შორის: ერთოთახიანი - 310(33%), ოროთახიანი -310(33%) , სამოთახიანი - 310(33%).

არ არის წარმოდგენილი ცნობა ფუნქციურ და ტერიტორიულ-სტრუქტურულ კოეფიციენტებზე,საესკიზო პროექტში გამოყენებულია სავარაუდო კოეფიციენტები. კონცეფციას თან ერთვის საცხოვრებელი სახლების ტიპიური სართულების გეგმები,რომელებიც განსხვავდება ჩვენის მიერ საკონკურსო დავალებით მოთხოვნილი პარამეტრებისაგან ბინების პროპრციულად განაწილების საკითხში.

6. **შპს. „დიზაინკომპლექსი“**

წინადადების ფასი - 89500.0(ოთხმოცდაცხრაათას ხუთასი) ლარი.

- კონცეფციას თან ახლავს ვრცელი განმარტებითი ბარათი გასანაშენიანებელი მიწის ნაკვეთის დეტლური დახასიათებით, რომელიც მოიცავს:
- ინფორმაცია ტერიტორიაზე არსებულ კომუნიკაციებზე და სქემა
- შესაბამისი კომპანიებიდან აღებული ტექნიკური პირობები გარე ჩართვებზესაინჟინრო გეოლოგიური დასკვნა

წარმოდგენილია ქ.ქუთაისის მერიის მიერ გაცემული ცნობა ქ.ქუთაისში,შერვაშიძის ქუჩაზე ფუნქციური და ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონის კოეფიციენტებზე.

კონცეფცია ითვალისწინებს ტერიტორიის განაშენიანების ორ ვარიანტს,რომელთაგანაც ბინების რაოდენობის მიხედვით პრიორიტეტულად შეიძლება ჩაითვალოს პირველი ვარიანტი,რომელიც გულისხმობს ოთხი 10 სართულიანი და თორმეტი 12 სართულიანი სახლის მშენებლობას ტერიტორიაზე არსებული მაგისტრალური წყალსადენის ქსელების გვერდის ავლით, რაც უთუოს ხდის მის რეალურობას. ბინების საერთო რაოდენობა - 1215, მათ შორის: ერთოთახიანი- 857(70%),ოროთახიანი - 179(15%),სამოთახიანი - 179(15%).

კონკურსანტის წინადადებით ბინების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს 1728-მდე სართულიანობის მომატების ხარჯზე (16 სართულიანი სახლები), მშენებლობის სრიალა ყალიბებით წარმოების შემთხვევაში (მონოლითური რკ.ბეტონის კედლებისა და გადახურვის ფილების მოწყობა), რაც ასევე იძლევა მშენებლობის ტემპის დაჩქარების შესაძლებლობას (2-ჯერ ამცირებს დროს).

კონცეფციას თან ერთვის საცხოვრებელი სახლების ტიპიური სართულების გეგმები,რომელებიც განსხვავდება ჩვენის მიერ საკონკურსო დავალებით მოთხოვნილი პარამეტრებისაგან ბინების პროპრციულად განაწილების საკითხში.

7. **შპს. „ხურო“**

წინადადების ფასი - **135000.0**(ასოცდათხუთმეტი ათასი)ლარი.

კონცეფციით გათვალისწინებულია რვა 9 სართულიანი, თოთხმეტი 7 სართულიანი და რვა 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა,ბინების საერთო რაოდენობა - **734**, მათ შორის: ერთოთახიანი - 234(32%),ოროთახიანი -234(32%),სამოთახიანი - 266(36%).

არ არის წარმოდგენილი ცნობა ფუნქციურ და ტერიტორიულ-სტრუქტურულ კოეფიციენტებზე, საესკიზო პროექტში გამოყენებულია სავარაუდო კოეფიციენტები. კონცეფციას თან ერთვის საცხოვრებელი სახლების ტიპიური სართულების გეგმები,რომელებიც განსხვავდება ჩვენს მიერ საკონკურსო დავალებით მოთხოვნილი პარამეტრებისაგან ბინების პროპრციულად განაწილების საკითხში.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრებმა განიხილეს და შეაფასეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, **შემოთავაზებული ფასისა** და არქიტექტურული **კონცეფციის** გათვალისწინებით.

საკონკურსო კომისიამ გადაწყვიტა:

1. **შპს. „დიზაინკომპლექსი“-ს** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით ელექტრონულ კონკურსში **(N1011; 31.10.2013)** გამარჯვებულად გამოვლინდა **შპს. „დიზაინკომპლექსი“ -ს** საკონკურსო წინადადება.
2. საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალა:

2.1. კონკურსანტისთვის კომისიის გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა.

2.2. გამარჯვებულ კონკურსანტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების და კანონმდებლობით დადგენილი სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმდება.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე: გოგი ფაცაცია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები: მერაბ მენაბდე

კობა სელიმაშვილი

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

ზაზა იმედაშვილი

მურად აბლოთია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები: გია ნაჭყებია

ამირან გოგიძე

დავით ლოლაძე

მაიკო მიქაია